სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №46

2010 წ. 07 დეკემბერი

ქ. თბილისი

ახალგაზრდა მეცნიერთათვის 2011-2012 აკადემიური წლისათვის იუნესკო/ჩეხეთის რესპუბლიკის ერთობლივი სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში საქართველოს სახელით მონაწილე კონკურსანტთა შერჩევის მიზნით სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გასატარებელი ღონისძიებებისა და კომისიის შექმნის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის “ე” ქვეპუნქტის, მე–4 მუხლის მე–2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 02 დეკემბრის №25-06/21377 წერილის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს “ახალგაზრდა მეცნიერთათვის 2011-2012 აკადემიური წლისათვის იუნესკო/ჩეხეთის რესპუბლიკის ერთობლივი სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში საქართველოს სახელით მონაწილე კონკურსანტთა შერჩევის მიზნით სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში – ფონდი) მიერ გასატარებელი ღონისძიებები“ ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს ფონდში წარმოსადგენი სააპლიკაციო ფორმა ამ ბრძანების დანართი 2-ის შესაბამისად;

3. დამტკიცდეს ახალგაზრდა მეცნიერთათვის 2011-2012 აკადემიური წლისათვის იუნესკო/ჩეხეთის რესპუბლიკის ერთობლივი სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში საქართველოს სახელით მონაწილე კონკურსანტთა შერჩევის მიზნით ფონდის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის წარსადგენ კანდიდატთა გამოსავლენი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ირაკლი ნოსელიძე – ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) მაია ქაჯაია - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის პროგრამის კოორდინატორი, კომისიის მდივანი;

გ) თინათინ ბოჭორიშვილი - ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, კომისიის წევრი;

დ) ანა ჩიქოვანი - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

ე) ვახტანგ ალანია - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის პროგრამის კოორდინატორი, კომისიის წევრი;

ვ) ვაჟა ლომიძე - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის პროგრამის კოორდინატორი, კომისიის წევრი.

4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

5. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საქმისწარმოების კოორდინატორს (მ. ბეჟიტაშვილს) წინამდებარე ბრძანების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტისათვის.

6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური